დაინტერესებული ხართ GLOBALG.A.P.-ის სტანდარტის მოთხოვნების დანერგვით? *იცოდეთ როგორ*

GLOBALG.A.P.-ის სტანდარტი

კენკროვანი კულტურების მწარმოებელი მეურნეობების კლასტერის მომზადება სერტიფიცირებისთვის
მარტი-ნოემბერი 2019, საქართველო

კენკროვანი კულტურების წარმოების განვითარებას საერთაშორისო ბაზარზე მაღალი, ყოველწლიურად მზარდი მოთხოვნა განაპირობებს. ევროკავშირი ნედლი ლურჯი მოცვის მსოფლიოში მეორე ყველაზე დიდი იმპორტიორია, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტისთვის და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) შესაძლებლობების გამოყენებისთვის, ქართველი ფერმერებისთვის აუცილებელია სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების გაუჯობესება, რაც მათ საშუალებას მისცემს განასხვავონ თავიანთი პროდუქტი ადგილობრივ ბაზარზე, ხოლო საექსპორტო ბაზრებზე კი კონკურენტული პოზიციები მოიპოვონ და შეინარჩუნონ.

GLOBALG.A.P.-ი ყველაზე გავრცელებული, კერძო სექტორის მიერ შემუშავებული სტანდარტია, რომლის დაკმაყოფილება ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტისთვის მნიშვნელოვანია. GLOBALG.A.P.-ის სერტიფიკატის მოპოვებისთვის, მწარმოებელმა ან მწარმოებელთა ჯგუფმა უნდა შეიმუშავოს მართვის სისტემა და აღრიცხოს მეურნეობაში განხორციელებული ყველა სასოფლო-სამეურნეო აქტივობა.

2019 წლის მარტიდან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) ევროკავშირის (EU4Business) მიერ დაფინანსებული DCFTA ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში იწყებს პროგრამას კენკროვანი კულტურების მწარმოებელ მეურნეობათა კლასტერისთვის, რაც მიზნად ისახავს GLOBALG.A.P.-ის სტანდარტის მოთხოვნების დანერგვას. პროგრამა მოიცავს: 1) სემინარს GLOBALG.A.P.-ის სტანდარტის V5.2 გამოცემის მოთხოვნებზე; 2) პროგრამის თითოეული მონაწილის პირველად შეფასებას GLOBALG.A.P.-ის ხილისა და ბოსტნეულის სტანდარტის V5.2 გამოცემის მიხედვით; 3) თითოეული მეურნეობისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავებას, აგრეთვე მენეჯერებისა და თანამშრომლების ტრენინგს შემდეგ საკითხებში: რისკის შეფასების მეთოდოლოგია, ჰიგიენა, შრომის უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა, პირველადი სამედიცინო დახმარება; 4) GLOBALG.A.P.-ის ხილისა და ბოსტნეულის სტანდარტის V5.2 გამოცემის მიხედვით დოკუმენტების (პროცედურები/ინსტრუქციები/ჩანაწერები) შემუშავებასა და 4 საკონსულტაციო ვიზიტს ადგილზე; 5)

European Bank for Reconstruction and Development

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროკავშირი ბიზნესისთვის (EU4Business) ინიციატივის ფარგლებში

The European Union for Georgia
EU4Business

სერტიფიცირების აუდიტზე დასწრებას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის მონაწილე/ჯგუფი გადაწყვიტავს სერტიფიცირებას 2019 წლის განმავლობაში[1]. პროგრამის განხორციელების შედეგად მონაწილეს ექნება GLOBALG.A.P.-ის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული სისტემა და მზად იქნება GLOBALG.A.P.-ის აუდიტისთვის 2019 წლის ნოემბრისთვის.

პროგრამის საშუალებით თქვენ შეძლებთ:

- დეტალურად გაიგოთ GLOBALG.A.P.-ის ხილისა და ბოსტნეულის სტანდარტის V5.2 გამოცემის მოთხოვნები, რომელიც ფარავს როგორც სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, ასევე გარემოს დაცვისა და შრომითი უსაფრთხოების საკითხებს;
- დაგეგმოთ და ეტაპობრივად გააუმჯობესოთ თქვენი მეურნეობის ინფრასტრუტურა და ასევე არსებული პრაქტიკა;
- მოაწესრიგოთ მეურნეობაში განხორციელებული აგრონომიული საქმიანობის აღრიცხვიანობა;
- შეიმუშავოთ სისტემა, რომელიც არა მხოლოდ GLOBALG.A.P.-ის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებს, არამედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და საექსპორტო ბაზრის საკანონმდებლო მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს;
- სურვილის შემთხვევაში მოიპოვოთ GLOBALG.A.P.-ის სერტიფიკატი.

პროგრამის ფარგლებში თქვენ დაესწრებით ტრენინგებს, ასევე გაეცნობით რისკების მართვის მეთოდოლოგიას, რომელიც შეიძლება გამოიყენოთ GLOBALG.A.P.-ის სტანდარტის მოთხოვნებში მოცემული სხვადასხვა სახის რისკების შეფასებისას. ასევე მიიღებთ დეტალურ ინფორმაციას საკანონმდებლო მოთხოვნებზე და კონსულტანტებთან ერთობლივად შეძლებთ შეიმუშავოთ დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი თქვენი მეურნეობის მიერ განხორციელებული აგრონომიული საქმიანობა და ამავდროულად უზრუნველყოფილი იქნება მიკვლევადობა. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილება კი დაგეხმარებათ მეურნეობის უფრო ეფექტურ და ეფექტიან მართვაში, ასევე ახალ ბაზრებზე შეღწევასა და თავის დამკვიდრებაში.

პროგრამა ხორციელდება GLOBALG.A.P.-ის ასოცირებული წევრი ორგანიზაციის, შპს „ჯი დი სი აი“-ს მიერ, რომელსაც აქვს GLOBALG.A.P.-ის პროექტების მართვის დიდი გამოცდილება.

პროგრამაში მონაწილეობისთვის მეურნეობამ უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები:

1. უნდა იყოს დარეგისტრირებული იურიდიულ პირად;
2. უნდა იყოს დარეგისტრირებული ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში სურსათის მწარმოებელ ბიზნესოპერატორად;
3. უნდა აწარმოებდეს კენკროვან კულტურებს (ლურჯი მოცვი, ჟოლო, მაყვალი, მარწყვი);
4. უნდა ფლობდეს მინიმუმ 0.5 ჰა ფართობის მეურნეობას;
5. პირველი მოსავლის მიღება დაგეგმილი უნდა იყოს მინიმუმ 2020 წელს (იმ შემთხვევაში, თუ კულტურა ახალი გაშენებულია და მოსავლის აღება ჯერ არ მომხდარა);

[1] GLOBALG.A.P.-ის სასერტიფიკაციო აუდიტის დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ამ პროგრამით.

6. უნდა იყოს მზად განახორციელოს ინვესტიცია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, თუ მისი არსებული ინფრასტრუქტურა სტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამება და გაითვალისწინოს კონსულტანტების რეკომენდაციები.

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია. შერჩევისას ყურადღება გამახვილდება შემდეგ ფაქტორებზე: 1) მეურნეობის ფართობი (პრიორიტეტი მიენიჭებათ დიდი ფართობის მქონე მეურნეობებს); 2) პროგრამაში მონაწილეობით დაინტერესებული მეურნეობების რაოდენობა ერთ გეოგრაფიულ არეალში; 3) დაინტერესებული მონაწილეების მიერ წარმოებული იდენტური კენკროვანი კულტურა, რათა პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იყოს კლასტერული მიდგომის გამოყენება.

პროგრამაში მონაწილეობის საფასური ერთი იურიდიული პირისთვის შეადგენს ფიქსირებულ 1,000 ლარს და დამატებით 150 ლარს ერთ ჰექტარზე (10 ჰექტარზე მეტი ფართობის შემთხვევაში, ფართობზე მიბმული დამატებითი გადასახადი არ აღემატება 1,500 ლარს). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ითვლება ერთ იურიდიულ პირად. პროგრამის მონაწილე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ გაცემული ინვოისის თანახმად, თანხას გადაიხდის 2 ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდა მოხდება პროექტის დასაწყისში, რაც ფარავს პირველადი შეფასებებისა და ტრენინგების ჩატარების საფასურს, ხოლო მეორე ნაწილის გადახდა მოხდება პროგრამის დაწყებიდან დაახლოებით 2 თვეში და მოიცავს დოკუმენტაციის შემუშავების, 4 საკონსულტაციო ვიზიტისა და სერტიფიცირებით დაინტერესებული მეურნეობებისთვის, სასერტიფიკაციო აუდიტზე დასწრების საფასურს.

ტრენინგის ღონისძიებებზე ტრანსპორტირებისა და სასტუმროში განთავსების ხარჯები უნდა დაფაროს მონაწილემ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ტრენინგები დაგეგმილი იქნება შერჩეული მწარმოებლების კლასტერის რეგიონში.

მონაწილეობისთვის გთხოვთ, შეავსოთ განაცხადის თანდართული ფორმა და გამოაგზავნოთ **2019 წლის 5 მარტამდე** შემდეგ ელ. ფოსტაზე: **tlabartkava@gdci.ge** ან **ekimeridze@gdci.ge** ან **knowhowgeorgia@ebrd.com**. ინფორმაცია შერჩეული კომპანიების შესახებ ხელმისაწვდომი იქნება **2019 წლის 10 მარტისთვის.** პროგრამის განხორციელება დაიწყება **2019 წლის 20 მარტს.**

დამატებითი ინფორმაციისთვის, გამოაგზავნეთ წერილი შემდეგ ელ. ფოსტაზე: knowhowgeorgia@ebrd.com ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე +995 322 4474 00.

იცნობდეთ კონსულტანტებს:

- **ეკატერინე ქიმერიძე, დირექტორი, შპს „ჯი დი სი აი“**
- **თამარ ლაბარტყავა, პროექტების მენეჯერი, შპს „ჯი დი სი აი“**
  - ეკატერინე ქიმერიძესა და თამარ ლაბარტყავას აქვთ საერთაშორისო სტანდარტებზე მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება, მათ შორის 14 წლიანი გამოცდილება GLOBALG.A.P.-ის სტანდარტზე. მათ პირველებმა დანერგეს GLOBALG.A.P.-ის სტანდარტი საქართველოში და GLOBALG.A.P.-ის პოპულარიზაციის მიზნით მუდმივად ატარებენ ტრენინგებს და უზრუნველყოფენ GLOBALG.A.P.-ის სტანდარტის სხვადასხვა გამოცემის თარგმნას ქართულ ენაზე. 2018 წლიდან მათი ორგანიზაცია არის GLOBALG.A.P.-ის ასოცირებული წევრი. GLOBALG.A.P.-ის

სამდივნოსთან ერთად 2018 წლის ივნისში ორგანიზება გაუკეთეს კონფერენციას „GLOBALG.A.P.-ის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. კონფერენციის პარტნიორი ორგანიზაცია იყო ინიციატივა „ტრაქტორი“ (ამჟამად „კალო“), ხოლო კონფერენციის მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იყო საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ.